ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2594099

ნომერი: AR1400799

თარიღი : 27.04.2016

გაცემის თარიღი : 21.05.2016

გაცნობის თარიღი : 21.05.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბარათაშვილი , N 23 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩახრუხაძე , N 27 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩახრუხაძე , N 29 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მედეა მაზანიშვილი პ/ნ 01025019841
- თბილისი, წყნეთის გზატკეცილი 1/2

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მედეა მაზანიშვილი

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა

დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად ქ. თბილისში,ჩახრუხაძის ქ. N27, ჩახრუხაძის ქ. N29, ბარათაშვილის ქ. N23–ში სასტუმროს ესკიზური პროექტის შეთანხმების საკითხი განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N18, 05.05.2016წ), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს ეთქვა უარი – რეკომენდაცია: არ არის მისაღები ბარათაშვილის ქუჩაზე გამომავალი კორპუსის ერთიანი, დაუნაწევრებელი მოცულობა. სასურველია, შენობის ზედა ნაწილის ერთ ადგილზე "ჩახსნა", რათა მოხდეს სახურავის ხაზის სიმაღლეში დიფერენცირება და გაჩნდეს მეტი სივრცე. გასათვალისწინებელია, რომ დაშლილი ძეგლი აღსადგენია. ხოლო მისი ადაპტირების შესაძლებლობა განსახილველია კონკრეტული შემოთავაზების შემთხვევაში.

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. მედეა მაზანიშვილს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქ.მედეა მაზანიშვილს ქ.თბილისში,ჩახრუხაძის ქ.N27,ჩახრუხაძის ქ.N29,ბარათაშვილის ქ.N23–ში სასტუმროს ესკიზური პროექტის შეთანხმების თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.